გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

877—1890 სასოფლო-სამეურნეო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. етцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

1891 წ. იანვრის თვიდგან

ქ. ტფილისში

მოიცემა, ორ თვეში ერთხელ, საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-მდე გვერდი დიდის ფორმატისა.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები მოგზაურობის და შესანიშნავ კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო ამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნა- ი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო პოეტებმა და რლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე ზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისსა, ბათუმსა და რში ეღირება 75 კ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება.

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., № 8)

2) ქუთაისში—ექ. ნიკოლაძისას

3) გორში—ექ. ფურცელაძისას

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала Джеджили“*

(5—5) რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

## ახალი ამბავი

◆

*** მოსკოვიდამ ბ-ნ ა. ხახანაშვილისაგან მოგვივიდა შემდეგი დეპეშა: მი მწუხარებაც დაურთეთ ქართველ- მწუხარებას პოეტის რომანტიკის ხტანგ ორბელიანის გარდაცვალების გამო და შეამკეთ საფლავი მისი ირგვინით, რომელსაც ზედ წააწერეთ: „მგოსანს წარსულისას.“

*** ახალ-ქალაქიდამ მოგვივიდა ცნობა, რომ 2 ოქტომბერს აქაურმა ზოგადოებამ გარდაიხადეთ პანაშვიდი ჩვენის ძვირფასის პოეტის თ. ვახტანგ ორბელიანის მოსახსენებლად. პანაშვიდზე ბლომად დაესწრო ხალხი და სხვათა-შორის შეგირდები აქაურის სასოფლო სკოლისა თავიანთ მასწავლებელითურთო.

*** მოგვყავს რამდენიმე საბიოგრაფიო ცნობა შესახებ ბარონ ნიკოლაისა, რომელსაც წელს, პირველს ოქტომბერს, შეუსრულდა 50 წელიწადი მას აქეთ, რაც სამსახურში იმყოფება. ბარონ ნიკოლაი დაიბადა 1821 წელს. სწავლა დაასრულა ცარსკოსელსკის ლიცეიში 1839 წ. 1840 წ. შევიდა სამსახურში ნოვოროსიისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში. აქ მალე მიიღო წოდება კამერიუნკრისა და ჩინი კოლეჯსკი ასესორისა. 1844 წელს დაინიშნა განსაკუთრებულ საქმეთა მოხელედ იმავე გენერალ გუბერნატორთან, ხოლო 1845 წელს გადმოყვანილ იქმნა კავკასიაში ნამესტნიკის კანცელიარიის მოხელედ. ვორონცოვის ლაშქრობის დროს დაღესტანში ბარონი იყო მოხელე განსაკუთრებულის საქმეებისათვის. ამ დროს მიიღო ჩინი ნადვორნი სოვეტნიკობისა. 1847 წელს ებოძა სხვა-და-სხვა საქმეთა ერთგულადა და პირ-ნათლად შესრულებისათვის და სხვა-და-სხვა კომისიებში მუშაობისათვის კოლეჯსკი სოვეტნიკობა და ორდენი წმ. ანნასი მეორე ხარისხისა. 1849 წ. მიიღო სტატსკი სოვეტნიკობა და კამერგერობა. 1852 წელს დაინიშნა ამიერ-კავკასიის გამგეობისა- [illegible] და სწავლა-განათლების მზრუნველად და მეორე წელსვე ებოძა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა. 1856 წელს კიდევ ებოძა ჯილდო-კავალერობა წმ. ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენისა. შემდეგ ბარონ ნიკოლაის ბევრ გვარი საძნელო საქმე მიენდო და ჯილდო ჯილდოზე მოსდიოდა. 1859 წელს ბარონი დაინიშნა ნამესტნიკის საბჭოს წევრად. ამ ხანში თან კარგად შეისწავლა ჩვენის ქვეყნის ვითარება, წარსული და აწმყო მდგომარეობა, მკვიდრთა ზნე და ჩვეულება და ყოველ ამის გამო დიდს სამსახურს უწევდა მთავრობას. 1861 წელს გადაყვანილ იქმნა რუსეთში და პატარა ხანს უკან დაინიშნა საერო განათლების მინისტრის ამხანაგად. მერე კიდევ კავკასიაში იქმნა გადმოყვანილი და ბოლოს, სახელდობრ 1882 წელს დაინიშნა საერო განათლების მინისტრად. დღეს ბარონს აქვს წოდება სახელმწიფო საბჭოს წევრისა, სენატორისა, სტატს-სეკრეტარისა და ჩინი დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკობისა.

*** 7 ოქტომბერს დანიშნულია კურთხევა ახალის ეკკლესიისა ტფილისის დედათა ინსტიტუტში.

*** საკვირაოდ დანიშნული კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა არ შესდგა წევრების საკმაო რიცხვის მოუსვლელობის გამო. შემდეგი კრება დანიშნულია მომავალ კვირისათვის (7 ღვინობისთვეს) და ამ კრებაზე, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, სულ ერთია—კრება საზოგადოებისა, მის წესდების ძალით კანონიერად ჩაითვლება.

*** ამავე დღეებში მოხდება იმავე საზოგადოების მმართველობის კრება საპრემიოდ წარმოდგენილ პიესების განსახილველად. ერთი პიესა მმართველობას უკვე განუხილავს! ხოლო მეორე პიესის წაკითხვაზე, როგორც შევიტყეთ, მიწვეულნი იქმნებიან, მმართველობის წევრებს გარდა, აგრეთვე ისეთი ცნობილი ჩვენი მწერლები, როგორც თ. რაფ. ერისთავი, ილ. ჭავჭავაძე, ივ. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი და სხვ. მმართველობისა და მოწვეულთ გარდაწყვეტილებას შევატყობინებთ მკითხველებს ამ დღეებში.

*** წარსულს ზამთარს ამავე დრამატიულ საზოგადოების მმართველობის თავმჯდომარემ წარუდგინა დაწერილებით მმართველობას წინადადება შესახებ დრამატიულ კლასების დაარსებისა და სამაგალითო წარმოდგენების გამართვისა. ეს წინადადება მმართველობამ განიხილა ამ ერთის კვირის წინად, მაგრამ ვერ შეიწყნარა ზოგიერთა პრაქტიკულ დაბრკოლების გამო; ხოლო ამაზე დაწერილებით განაჩენი შეადგინა იმ აზრით, რომ ეს წინადადება სხვა დროს გამოიყენოს.

*** 1 ოქტომბრიდამ დაიწყო მოქმედება დამზოგველმა კასსამ, რომელიც გაიმართა ტფილისის ფოსტაში. ყველას, ვისაც ჰსურს, შეუძლიან თუნდ მუდამ-დღე წარადგინოს ამ კასაში შესანახად და დასაზოგველად, ვისაც რამდენის მონარჩუნება შეუძლიან სწორედ ისე, როგორც სახელმწიფო ბანკშია დაწესებული.

*** 1880 წელს ტფილისის საქალაქო თვით-მმართველობას ჰქონდა შემოსავალი 379,413 მან., ხოლო ხარჯი — 411,906 მ. [illegible] 1890 წლის შემოსავალია 705,348 მან. ხოლო ხარჯი აღრიცხულია 729,020 მან.

*** გუშინ-წინ, 2 ოქტომბერს, ქართული თეატრის დასმა წარმოადგინა „მე მინდა კნეინა გავხდე,“ კომედია ორს მოქმედებად და ვოდევილი „ოინბაზი.“ წარმოდგენას არა უჭირდა-რა, განსაკუთრებით კომედიას, თუმცა ამ გვარმა პიესებმა დიდი ხანია მოსჭამეს თავისი დრო. წარმოდგენაზედ ისე ცოტა ხალხი დაესწრო, რომ ხარჯი შემოსავალს სამის თუმნით აღემატებოდა. საგანგებო ლეკური იყო გამართულ წარმოდგენას შემდეგ, ისეთი საუცხოვო, რომ სწორედ მარტო იმის სანახავად ჰღირდა წარმოდგენაზედ დასწრება. იმედია, შემდეგშიაც განიმეორებენ ამ საუცხოვო ლეკურს, რომ სხვებსაც საშუა-

## ფელეტონი

### ქართული ლექსწყობა

(დასასრული *)

ზემოდ ჩვენა ვსთქვით, რომ ტონურს ლექს-წყობაში პროზულს ხმის ამაღლებას ეიგივეოება მეტრული ხმის ამაღლება. ეხლა ჩვენ გავარჩევთ სხვა-სხვა მარცვლოვანს სიტყვებსა და ვნახავთ, რა გვარად დაესმის მათ მახვილი.

ამით ჩვენ გავიგებთ კიდეც, რომელი პროსოდიული პერიოდები შეჰფერის ქართულს ლექსწყობას.

a) ორმარცვლოვანს სიტყვებს მახვილი დაესმის ბოლოდამ მეორე მარცვალზე: დილა, სარკე, წიგნი. (ხორეისებური).

B) სამმარცვლოვანს ბოლოდამ მესამე—მარცვალზე: ხანგრძლივი, სანთელი, ბინძური (დაკტილისებური).

c) ოთხმარცვლოვანს აგრეთვე მესამე მარცვალზედ: განდეგილი, მებყრობილი, საყვნესარი (მეორე პეონისებური).

h) ხუთმარცვლოვანსაც მესამეზედ: ალმობიერე, წარკვეთილება, აგანიერე (პირრიხ-დაკტილისებური).

e) ექვსმარცვლოვანს სიტყვას აქვს ორი შესვენებითი ნიშანი:

გადმოუსუფნია (ორი დაკტილისებური)

გაკეთებინოს

განსაკუთრებითა

დაკტილისებური და სხვა...

ერთის სიტყვით რამდენ მარცვლოვანი სიტყვაც ვინდათ გადასინჯეთ, აგრეთვე სხვა-და-სხვა მარცვლოვანი სიტყვებიც ერთად წაიკითხეთ და ყოველს შემთხვევაში დარწმუნდებით, რომ იმაზე მეტი პროსოდიული პერიოდი, რაც მე მოგახსენეთ, ქართულს ლექსწყობას არ შეჰფერის.

მით უფრო გაბედვით ვამბობ ამას, რომ, რამდენიც ღონე მიმიწვდიდა და გარემოება ხელს მიმართავდა, ბეჯითად შევისწავლე როგორც ჩვენის ძველის პოეტების ნაწარმოებნი, აგრეთვე ახლებისაც.

— მე და ჩემმა ღმერთმა, დიდი შრომა დაგჭირდებოდათ, რადგანაც, როგორც ნამდვილად ვიცი, მაგ საგანზე სრულიად არა დაწერილა-რა ჩვენში.

— დიახ, მართალსა ბრძანებთ, ჩვენში არა დაწერილა-რა ამ საგანზე, ხოლო რუსულს სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება ერთი პაწაწა წიგნაკი, რომელსაც ეწოდება სახელად „Историческое изображеніе Грузіи въ полтическомъ, церковномъ, и учебномъ ея состояніи“ *).

ამ წიგნაკის ავტორი, თავის დროს დიდად ცნობილი მეცნიერი, მიტროპოლიტი ევგენი ორიოდე სიტყვით ჩვენს ლექსწყობასაც შეეხება. მართალი უნდა სთქვას კაცმა და დიდს გონების გამჭრიახობას, საგნის ღრმად ცოდნას იჩენს პატივცემული ავტორი. მისმა დაკვირვებამა და იშვიათმა სმენამ, სწორედ გითხრათ, დიდი სარგებლობა მოგვიტანა ჩვენ. ნეტარ ხსენებულ მიტროპოლიტის სიტყვები განმეორებით არს გადაბეჭდილი პატარა წიგნაკში „Шота руставели, Грузинскій народный поэтъ“, რომელიც აგრეთვე რუსულად ტფილისში არის დაბეჭდილი, (ეგონებ ბ-ნ სტალინსკის მიერ, კავკასიის ნარედაქტორალისა). ბოდიშს ვიხდი ამ წიგნაკის ავტორის წინაშე, ვინც უნდა იყოს იგი, მაგრამ უნდა კი ვაღიარო, რომ საოცრად მიმაჩნია ამ ვაჟბატონის საქციელი. მას სიტყვა სიტყვით გადმოუღია თავის წიგნაკში მიტროპოლიტის წიგნაკიდამ ყოველისფერი, რაც-კი შეეხებოდა ქართულს ლექსწყობას, ასე გასინჯეთ, მაგალითებიც კი ისევ ისინი აქვს მოყვანილი და ერთის სიტყვითაც-კი არ იხსენიებს იმ შესანიშნავს კაცს, რომელსაც ასეთი დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საგნის შემუშავებაში.

**

ამით გავათავე პოეტთან ლაპარაკი. მას შემდეგ აგერ მეორედ მომსვლია იმისაგან მოსკოვში წერილი და მთხოვს გულ-უბრყვილო მეგობარი, „ივერიაში“ მაინც განვაგრძო ჩემი ვითომც და „ლექციები ქართულს ლექსწყობაზე“. მე მართალია დავპირდი, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო აქამდის ვერ ვასრულებდი ჩემს დაპირებას. სწორედ გითხრათ და ვერც შევასრულებდი ასე მალე. მე იმ აზრისა ვარ, რომ კაცი ერთობ ფრთხილად უნდა იქცეოდეს რაიმე საგნის გამოკვლევაში. მინამ საფუძვლიანად და გულ-დასმით არ შეისწავლის რომელსამე საგანს, არ უნდა ჰბედავდეს თავის გამოკვლევის საქვეყნოდ გამხილვებას.

დიახ, მე ვსწერ ეხლა ქართულს ლექსწყობაზე, მაგრამ რა გამოვიდა, როდესაც დაწერილი, რაგინდ ფრიად საყურადღებოც იყოს, არცერთს ვითომც და განათლებულს კაცუნას გონებასაც არ შეუფრთხობს, არ აღუძრავს სურვილს, რომ ავად თუ კარგად გაარჩიოს მის შინაარსი და ამ გვარად საერთო ძმურის შრომით საგანს ნათელი მოჰფინოს. მე ვგრძნობ ერთის სიტყვით, რომ ეს წერილებიც არ ასცდება იმ საცალალო ბედს, რომელიც ხვდა ჩემს 1887 წელს „ივერიაში“ დაბეჭდილს წერილებს „საგრამმატიკო ესკიზი“.

**

აქ მოვალე ვარ, ვიდრე შევუდგებოდე ჩემის საკუთარ გამოკვლევის დამთავრებას, ვრცლად გავარჩიო ჯერ მიტროპოლიტ ევგენის ნაწერიდამ ყოველისფერი, რაც-კი ასე თუ ისე

---

*) იხ. „ივერია“ № 209.

*) ამ მიტროპოლიტის ევგენის წიგნაკს ბროსსე ქებით იხსენიებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება მიეცეთ მისის ნახვისა და მისით დატკბობისა.

⁂ სოფ. ტაბახმელა: 29 ენკენისთვეს ჩვენის სოფლიდგან ორის ვერსის მანძილზე ღამე მინდორში დარჩენილიყო ორი გერმანელი: კაცი და ქალი. საწყლებს თბილი ტანისამოსი არა სცმიათ და იქვე გაყინულან. მეორე დღეს ქალი მკვდარი იპოვნეს და კაცი-კი სრულიად დამძრალი, რომელიც, მინამ სოფელში მოიყვანდნენ, გზაზედვე გარდაიცვალა.

⁂ ს. რუისი: კარგა ხანია, რაც ჩვენს სოფელში დაარსებულია წიგთსაცავი რუსულისა და ქართულის წიგნებისა. ამ წიგნთსაცავს ჰყავს რამდენიმე გულ-შემატკივარი, რომელნიც ყოველ-წლივ სწირავენ სხვა-და-სხვა ახალს წიგნებს ქართულსა და რუსულს. ამათ შორის პირველი ადგილი უჭირავს ქ-ნს ნინა კონსტანტინეს ასულს მამაცაშვილისას, რომელმაც ჩვეულებრივ წელსაც შემოსწირა ხსენებლს წიგნთსაცავს 12 ცალი ახლად დაბეჭდილის ქართულის წიგნებისა. წელსვე შემოსწირა ჩვენს წიგნთ-საცავს არჩილ დეკანოზიშვილმა 15 ცალი ქართული და16 რუსული წიგნი.

⁂ [illegible] ([illegible] რა): ამას წინად გაზაფხულზე გასტეხეს ქურდებმა ვეჯინის ეკლესია და, რაც-კი რამ მოხვდათ შიგ ძვირფასი, ყველა წაიღეს. მას უკან მიჩუმდა საქმე და დღემდე ვერავინ ვერა გაიგორა ქურდებისა. მხოლოდ ამ შემოდგომაზე, 20 სექტემბერს, შემთხვევით ზიარის ტყეში იპოვნეს ყველა მოპარული ნივთები. ეჭვი აიღეს კაკაბეთის მცხოვრებელს ივანე ჯანუაშვილზედ, რომელსაც სხვა საქმეც დაჰბრალდა, სახელდობრ გურჯაანელის ზარდიაშვილის მოკვლა. ჯანუაშვილი ეხლა გადავარდნილია და ჯერ ვერ უპოვნიათ. ნაპოვნს ნივთებში ბარძიმი თითხად არის გაჭრილი და ზედ შემდეგი წარწერაა: ქ. ჩვენ მონამან ღმრთისამან ანდრონიკაშვილმან ქიზიყის მოურავმან რევაზ გავაკეთებინე ვერცხლის ბარძიმი ესე და შევსწირე ღვთაების ეკლესიას ვეჯინისას საოხად სულისა და მეუღლისა ჩემისა და ძეთა და ასულთა ჩემთა. ქკს უდე (ე. ი. 1777 წელს). მისხალი რლბ (132).

⁂ გაზეთებში დაბეჭდილია განცხადება ტფილისის ყასბებისა, რომ ხორცი გაიყიდება ჩვენს დუქნებში 1 ოქტომბრიდამ პირველ ნოემბრამდე ამ ფასადაო: ძროხის ხორცი გირვანქა 7 კაპ. ცხვრისა 7 კაპ. და სუკი— 13 კაპ.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერი აცხადებს გაზ. „კავკაზში“, რომ რადგან ნიხრი მოსპობილ იქმნა, გასაადვილებლად ანგარიშისა ოჯახის პატრონთა და მოსამსახურეთა შორის და აგრეთვე პურისა და ხორცის გამსყიდველთა და იმავ მოსამსახურეთა შორის, რომელნიც ყიდულობენ ბაზარში პურსა და ხორცს, მე დავავალე პოლიციის ბოქაულთ მოსთხოვონ ყოველს დუქნის პატრონს, საცა-კი ხორცი ისყიდება, იქონიოს შავი ფიცარი და მუდამ დღე ზედ აღნიშნოს ფასი ხორცისაო. ამას გარდა დავავალე ყოველ დილით გაცნობონ, რა ფასია დადებული ან ხორცსა და ან პურზე, რომ გაზეთში მამოვაცხადო საყოველთაოდ საცნობელად და საჭირო ღონის ძიებათა მისაღებად, თუ ვინიცობაა თავის ნებით მოუმატა ვინმე ფასი ხორცსა და პურზეო.

⁂ ამ თვის 2, საღამოს 7 საათზე, პოლიციის მეშვიდე ნაწილში, სირაჩხანის აღმართში ვიღაც უცნობი კაცი წაეჩხუბა ტფილისის მცხოვრებელს იაკობ არაქელოვსა და დანით მუცელში დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს. არაქელოვმა არ გამოაცხადა თავის დამჭრელის ვინაობა.

⁂ ამავ დღესვე დამოყნის ქუჩაზე, მეპურეს ამბარცუმ ლუსპადინოვს ფულის ყუთი გაუტეხს და 16 მან. წაიღო ტფილისის მცხოვრებელმა ვარძელოვმა. ქურდი შეიპყრეს.

⁂ 2 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, ბალის ქუჩაზე, მირიმანოვის სახლთან იპოვნეს შვიდის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

⁂ ამავ დღესვე, ნაშუადღევის ორს საათზე, პოლიციის მესამე ნაწილში, პოპოვის წისქვილში მომუშავე სოფ. მალხაზოვკის მცხოვრებელი მიხეილ რომანის ძე ბასკაკოვი 32 წლისა თვლებზე ტყავის გადაცმის დროს გაუფრთხილობით მოჰყვა ბორბალს ქვეშ და სასიკვდილოდ დაშავდა. გარდაცვალებულის გვამი საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

◆◆

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქულბითი. ქულბითი მშვენიერი სოფელია, აქვს კარგი მდებარეობა და საღი ჰავა. ამ სოფლის ადგილი თავის ტყით მეფე დავით აღმაშენებელს უბოძებია ოქროპირიძეების წინაპარ ჩიჩიშვილებისთვის, რომელნიც ოსეთიდგან გადმოსახლებულან, მეფის ყურადღება დაუმსახურებიათ თავის ერთგულობითა და მისივე ნება-დართვით ამოურჩევიათ ეს ადგილი საცხოვრებლად. დავით აღმაშენებლის ნაბოძები სიგელი აქამდე არის დაცული ოქროპირიძიანთ ოჯახში.

სოფლის თავში არის უწინდელსავით ცივი წყარო, რომელსაც თურმე სამკურნალო თვისება აქვს; ვისაც გააციებს წყაროს წყალში იბანავებს და მორჩება; ამიტომ ამ წყაროს დაერქვა „წამლა-წყარო“.

ქულბითში ხშირად უცხოვრიათ ქართველთა მეფეების შვილებს. სხვათა შორის ჩვენის მატიანებიდგან ვიცით, რომ ხუთასის წლის წინად აქ სცხოვრებდა [illegible] ([illegible]); ეს სოფელი აგრეთვე ძლიერ ჰყვარებია დიდ ერეკლე II მეფის შვილს იულონს, რომელიც აქ ჩერქეზიანთ ოჯახში აღზრდილა პატარაობიდგან და ხშირად მუხის ძირში დროება გაუტარებია. როდესაც იულონი იძულებული გამხდარა, სამშობლოსთვის თავი დაენებებინა, იმას თან გაჰყოლიან იმერეთში ერთგულნი მხლებელნი, მათ შორის ცნობილი ფირანიც, რომელიც იულონის შეპყრობის დროს ლუკმა-ლუკმა დაუკეპიათ; თავ-განწირულის დაკეპილი სხეული კალათებში ჩაულაგებია ივანე შავარდენიძესა და გადმოუტანია ქულბითში სამშობლო მიწისთვის მისაბარებლად.

ისტორიული ძველი ნაშთებით არ არის ღარიბი ეს სოფელი. შიგ სოფელში და მის გარშემო ყოფილა წინად თორმეტი ეკლესია, რომელთა რიცხვი, თუმცა, სამწუხაროდ, შემცირებულა, მაგრამ სანუგეშოდ ჩვენამდე მოუღწევია გოჩასგან აშენებულს თლილის ქვის ეკლესიას. მეფის მეს გოჩას თავის სახსოვრად დაუტოვებია ეს მშვენიერის ხელოვნების მხრითა და გარშემო ჩუქურთმებით შემკული ეკლესია. იმავე გორაკზე, რომელზედაც ეს ეკლესია არის აშენებული, სოფლის მკვიდრთა და ტაძრის დასაცველად მტერთაგან გოჩასვე აუშენებია მკვიდრი ქვითკირის გალავანი კოშკებით. ეკლესია და ქვითკირის სიმაგრენი თითქმის ორმოც ვერსიდგან სჩანს. ნეტარ ხსენებულ გოჩას შემდეგ, რომელიც ჩრდილოეთის სვეტისა და სამკვეთლოს შუაში განისვენებს, მისგან აშენებულ ეკლესიაში აქამომდე არ შეწყვეტილა წირვა-ლოცვა, მხოლოდ ამ რამდენისამე წლის წინად შტატი იქმნა აქედგან გადატანილი ოქროპირიძიანთაგან განახლებულს საყდარში.

გოჩას ეკლესიის შესავალში ასვენია სასწაულთ-მოქმედი ხატი ღვთის-მშობლისა, რომელიც ჯერ ჩერქეზიანთ ოჯახში ასვენებულა და მერე შეუწირავთ ეკლესიისთვის. ეს ხატი, როგორც ამბობენ, მოუტანიათ იერუსალიმიდგან და არის ნამდვილი პირი ივერიის ღვთის მშობლისა, რომელიც ზღვაზე სასწაულებრივ გამოეცხადა ქართველს ბერს გაბრიელს. ეს ხატი ჟამთა ვითარებისაგან დაძველებულა, წამალი ადგილ-ადგილ გადასულია მხატვრობა (რუსული უნდა იყოს) ბუნდად სჩანს. ამ უკანასკნელის გარემოებით აიხსნება ხალხის ღრმა რწმუნება, რომ ხატი იღრუბლებაო.

დროთა ბრუნვის გამო გოჩას ეკლესია ძლიერ დაზიანდა, ჩრდილოეთის მხარე დაირღვა და აღმოსავლეთის მხარეს სამირკველი გამოუჩნდა. გარედგან კედლებსა და ფრონტონებს (კალთებს) თითქმის სულ შემოცლილი ჰქონდა თლილი ქვები, ზოგან კალთებიდგან სინათლე ჩამოდიოდა ეკლესიაში. გუმბათი თუმცა მაგრა სდგას, მაგრამ არც იმას შერჩენია ზევიდგან სახურავი. სამწუხარო იყო ამ ეკლესიის ამისთანა მდგომარეობა, მით უმეტეს, რომ ხალხი ძალიან ლოცულობს ამ ეკლესიასა და, თუ გულის შემატკივარნი არ გამოსჩენოდნენ, იქნება ხელიდგან გამოგვცლოდა ეს შესანიშნავი ისტორიული ნაშთი. ბევრი ამისთანა ტაძარი დიდის თავ-განწირულებით ჩვენ წინაპართ მტრებისაგან გადურჩენიათ და ჩვენთვის შორნათლად გადმოუციათ, მაგრამ ჩვენ მშვიდობიანობის დროს ჩვენი დაუდევრობით დაგვიკარგავს. ვინ იცის დიდი ხანი ყოფილიყო გოჩას ეკლესია ამისთანა მდგომარეობაში და აღდგენა არ ეღირსებოდა, რომ მისი განახლება არ განეზრახა ადგილობრივს მღვდელს დიდათ პატივცემულ მ. გაბრიელ ოქროპირიძეს, რომელმაც ამ ეკლესიის გასაახლებლად სთხოვა საქართველოს ეგზარხოსს პალადის კომიტეტის დაარსება. კომიტეტში თვით მღვდლის გარდა არიან: გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ივანე დავითის ძე სულხანიშვილი, გიორგი იერონიმეს ძე სამხელოვი და ინსპექტორი მართ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგინებელის საზოგადოებისა მღვდელ-მონაზონი მ. ლეონიდი. საქმის დასაწყობლად მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, რომელიც მთელს საქართველოში ცნობილია როგორც უხვი გამღები შეწირულობისა, კეთილ ინება და შესწირა ათი თუმანი. კომიტეტი უკვე შეუდგა ნაკისრს საქმეს, შეკრა ოსტატ ბერძენს პირობითა და იმედი აქვს რომ ამ ენკენისთვის გასვლამდის ნახევარი საქმე მაინც იქნება შესრულებული. ამ ნაირად ამ მოკლე ხანში განახლებულს ნიქოზის ტაძარს მიემატება გოჩას ეკლესიაც. სასურველია, რომ სხვათაც მიაქციონ ყურადღება ძველს ისტორიულს ნაშთებსა და თუ თვითონ თავს ვერ უდგიათ განახლება, სთხოვონ სასულიერო მთავრობას მღვდელ კრებათაგან კომიტეტების დაარსება და ერთმანეთის დახმარებით შეუდგნენ ძველ ტაძრების განახლებას.

თანამემამულე

◆◆

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

„მეურნეს“ ამ უკანასკნელ ნომერში საყურადღებო მეთაური წერილია ამ გაზეთის რედაქციისა და მკითხველების ურთიერთობის შესახებ. რედაქცია გაზეთისა აცხადებს, რომ აი, ესა-და-ეს წერილი მოგვივიდა და ასე და ამ გვარად გვთხოვენ გაზეთის გაუმჯობესებასაო. სულ სამი წინადადებ

---

ქართულს ლექსწყობას შეეხება. 88 стр.

I Просодія Груз. поэзіи вся тоническая на подобіе Греческой и Латинской (?)

ბერძნებსა და რომაელებს მეტრული ლექსწყობა ჰქონდათ და არა ტონური.

II Чаще всѣхъ другихъ въ немъ (гр. языкѣ) употребляется метръ пиррихо-дактилическій (აა—აა), однакожъ сродны ему и всѣ метры древней Греческой поэзіи (?!)

დიდი შეცდომაა, რადგანაც ქართულს ლექსწყობას შეჰფერის მარტო ხორეისებური, დაქტილისებური, პირიხ-დაქტილისებური და მეორე პეონისებური. სხვა პროსოდიული პერიოდი არ იცის ქართულმა.

III Первый разъ самый древній и употребительный называется шаири. Онъ состоитъ изъ четверостишій, имѣющихъ на концѣ каждаго стиха одинакую риѳму. Метръ его есть слѣдующій:

оо—оо—оо оо—оо—оо

Въ примѣръ сему вотъ самая первая строфа изъ руставелевой поэмы Вепхвисткаосани:

Ромелманъ шекмна самкаро და სხვა ამ გვარად...

აუცილებლად საჭიროა მრჩობლედისა და შაირის გარჩევა, რადგანაც ორივეს სულ სხვა-და-სხვა წყობილება აქვს. ავტორი წიგნაკისა არა თუ მარტო ვერ არჩევს მრჩობლედს შაირისაგან, არამედ არც-კი იცის მრჩობლედი არსებობს ჩვენს ლექსწყობაში, თუ არა. ამისა გამო გვინიშნავს მრჩობლედსა და ლაპარაკობს-კ შაირზე.

აი შაირის მაგალითი და წყობილება:

განგებასა სად წაუხვალ, მიკვირს, რადმცა ერიდები?
მოთმენა ხამს განსაცდელთა, ამას სხობენ ერი, დები,
მოდი, ყოლე ნუგეშინის, ქალთა ნუ გთნავს ე რიდები,
და ვერ გაქცევ მოსაგვლესა, ოდენ მანდაც ვერ იდები!

სულხ. ორბელ. ლექსი (422 ქ. და დ.)

ა—აა | ა—აა | ა—აა | ა—აა.

შოთასაც, ჩახრუხაძესაცა და ბევრს სხვასაც აქვე ამ ხალხურის კილოთი დაწერილი ლექსი. მრჩობლედის წყობილება:

წყალად გაგებით დაუსხამთ წრფელთა გზაზედა მავალთა,
ვინც მოქენეობს ცას ქვეშე მას სათხოვლსა მრავალთა,
რომელი მიზეზს მოისხამს, მას ვერ მიხვდები შენაო,
არად გსურს ესე სოფელი, არ მალ გიძს ხილვად ზენაო.

(423 ქ. და დ.)

აა—აა | აა—აა | —აა—აა | —აა

IV. Второй родъ стиховъ также четверостишный съ риѳмами и называется Чахрухаули. Метръ поэмы „Тамаріани“ есть слѣдующій:

აა—ა აა—ა აა—ა აა—ა.

Въ примѣръ вотъ два стиха изъ самой первой строфы славной той поэмы „Тамаріани“:

Тамарь цкнари, шесацкнари, хманарнари და სხვა.

აქ რამდენიმე შეცდომაა.

პირველი ისა, რომ თამარიანი ოთხის წყობილებით არის დაწერილი:

1) აა—აა | აა—აა | აა—აა | აა—აა |
2) ა—აა | ა—აა | ა—აა | ა—აა |
3) აა—აა | —აა | აა—აა | —აა
4) (აა—აა) | (აა—აა) | აა—აა | აა—აა

მეორე შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ თამარიანი იმ წყობილებითა და სიტყვებით არ იწყება, როგორც ავტორს აღუნიშნავს ჩახრუხაძის სამეჯლიშო ოდა (торжественная ода და არა პოემა, როგორც ეძახიან მას). ასე იწყება:

მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო, 'თამარს ვაქებდეთ გულის კმიერსა.

აა—აა | აა—აა | აა—აა | აა—აა

მესამე შეცდომა იმაშია, რომ წყობადი

„თამარ-წყნარი, შესაწყნარი, ხმა ნარნარი“...

დაწერილია ამ წყობილებით:

ა—აა | ა—აა | ა—აა | ა—აა

და არა ისე:

აა—ა | აა—ა | აა—ა | აა—ა,

როგორც გვიჩვენებს მიტროპოლიტი. ასეთი პროსოდიული პერიოდი (აა—აა), როგორც ზემოდ ვნახეთ, სრულიად არ შეჰფერის ჩვენს ენას. მეოთხე შეცდომა-კი იმაში მდგომარეობს, რომ წყობილებას, რომლითაც მოყვანილი წყობადია დაწერილი, ეწოდება შაირი და არა ჩახრუხაული.

V. Третій родъ называется Рули (?) и состоитъ изъ осьми стиховъ одно-риѳменныхъ. Метръ такой-же, какъ шаири. . . . .

რეული, მართალია, შესდგება რვა ტაეპისაგან და ამისა გამოც ეწოდება მას რეული, მაგრამ იგი სრულიადაც არ შეადგენს ცალკე, ვითომც იგეთსავე, წყობილებას, როგორიც შაირია. ჩვენ რეული იმ ნაირ წყობილებითაც გვინახავს დაწერილი, რომელიც სრულიად არ მოგვაგონებს იმ წყობილებას,

აა—აა | —აა | აა—აა | —აა,

რომელსაც შეცდომით უწოდებს მიტროპოლიტი შაირს, მაგალითად აი რეული სხვა-და-სხვა წყობილებით დაწერილი:

1) რა ოსტატი ასოს სხმიდა, მისი
გული სხვას იწვრთიდა,
ონით ხრმალებრ მტერთა სრვიდა, გა
სა ფარებრ იფარვიდა,
ინსა ზურგად დაირქმიდა, ტარსა ჯაჭ
ვად ჩაიცმიდა,
ენსა მშვილდად აიბმიდა, სანით ისრად
მტერთა სრვიდა. (56 გვ. ქ. და დ.)

ა—აა | ა—აა | | ა—აა | ა—აა **)

---

**) ნიშანი ტაეპის შუაში ცეზურას აღნიშნავს.

მიუღია ამ გაზეთს. ერთი ხელის-მომწერთაგანი სწერს:

> რადგან ჩვენში ბევრნი მოიპოვებიან ამისთანანი, რომელთაც ჰსურთ დაიბარონ რომელიმე გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღი ანუ თესლეულობა, მაგრამ კი ან არ იციან ვის და სად მიჰმართონ, ან, თუ იციან კიდეც, თვითონ ეძნელებათ,—რედაქციამ იკისროს შრომა და დაეხმაროს ამისთანა პირთ: დაიბაროს მსურველთათვის, რასაკვირველია, მათის მინდობილობით, ის იარაღი და თესლეულობა, რომელიც მათთვის საჭირო იქნება, რადგან რედაქციისათვის უფრო ადვილი მოსახერხებელი იქნება ეს საქმე, ვიდრე კერძო პირებისათვის, მეტადრე იმათთვის, ვინც მუდამ სოფლად სცხოვრობს.

„მეურნის“ რედაქცია ამ წინადადების შესახებ აცხადებს, რომ დიდის სიამოვნებით და სიხარულით ავასრულებთ ამ გვარს ხელის-მომწერთა მონდობილებას, ოღონდ-კი მრავალნი იყვნენ გაუმჯობესებულ იარაღითა და საუკეთესო თესლით მეურნეობის განკარგებასაო.

მეორე ხელის-მომწერი სწერს რედაქციას: კარგი იქმნებაო, რომ

> გაზეთის შემწეობით სოფლის ხალხმა მუდამ იცოდეს ქალაქების მაზანდა, იცოდეს ყოველ ჟამს რას თხოულობენ ქალაქში და რა ნაწარმოებს რა ფასი ადევს. სასურველია, რომ გაზეთში იბეჭდებოდეს ყველა ამ გვარი ცნობები ტფილისის, ქუთაისის და ბათუმის შესახებ. ბევრჯელ მოხდება ხოლმე, სოფელში ხმა გავრცელდება, რომ ვითომც ქ. ტფილისში ხორბალი ფუთი 1 მან. 50 კაპ. იყიდებოდეს. ზოგნი დაუჯერებენ ამისთანა ხმას და წამოიღებენ ქალაქში თავის ნაწარმოებს, მაგრამ-კი, როცა ქალაქში ჩამოვა და ბაზარში გავა, გამოჩნდება, რომ ხორბალი, მანეთ ნახევრად-კი არა, სამ აბაზ და სამ აბაზ უზალთუნად იყიდება ფუთი.

ამ წინადადების შესახებ რედაქცია ჰბრძანებს, რომ ამ სამის წლის წინად ვბეჭდავდით ხოლმე ქ. ტფილისის ბაზრების მაზანდას, მაგრამ ზოგიერთებმა გამოგვიცხადეს, რომ საჭირო არ არის და ადგილს ტყუილად იჭერსო. ამიტომ მოვსპეთ მისი ბეჭდვა, თუმცა-კი ყოველთვის ვგრძნობდით, რომ მეტი არ იყო ჩვენ-ს გაზეთისათვისაო. საკვირველია, როგორ აჰყვა რედაქცია რამდენიმე კაცის სურვილსა და როგორ აჰკვეთა იმის ბეჭდვა, რის სარგებლობაც ყველასთვის აშკარაა და ნათლივ დასანახავი, მით უმეტეს, რომ თითონაც ჰგრძნობდა თავის სიმართლეს, ამ ხელის მომწერის სამართლიანის თხოვნას შემდეგაც რედაქცია „მეურნესი“ როგორღაც ყოყმანობს, არც თავის სიმართლეს ერწმუნება, არც ზემოხსენებულ მკითხველისას და მაინც საერთოდ მიჰმართავს მკითხველებს:

> უმორჩილესად ვსთხოვთ „მეურნის“ მკითხველებს, შეგვატყობინონ თავიანთი აზრი და სურვილი: საჭიროა და სასარგებლო ამ მაზანდების ბეჭდვა, თუ არა? თუ მკითხველები საჭიროდ დაინახავენ ამ განყოფილებას, მაშინ ისევ შევუდგებით მის ბეჭდვას და არა მარტო ტფილისის ბაზრების მაზანდას, არამედ ვეცდებით ქ. ქუთაისისა და ბათუმისაც დავბეჭდოთ, თუ, რასაკვირველია, იმისთანა აგენტებს ვიშოვით ამ ქალაქებში, რომელნიც იკისრებენ ამისთანა ცნობების გამოგზავნას.

მესამე წერილი უფრო საყურადღებოა. მკითხველი სთხოვს რედაქციას, რომ „მეურნეში“

> ყოველთვის იბეჭდებოდეს ცნობები იმ აგენტებზედ, რომელნიც რუსეთის თუ საზღვარ-გარეთის ფირმებისაგან არიან კავკასიაში გამოგზავნილნი სხვა-და-სხვა ნაწარმოების საყიდლად, მაგალითად: პურისა, ღვინისა, მატყლისა და სხ. აგრეთვე იბეჭდებოდეს ცნობები იმ საკომერციო გემებზედ, რომელნიც ბათუმში მოდიან რომელიმე ნაწარმოების გასატანად.

რედაქცია დასძენს, რომ ამისთანა ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მეურნე-მწარმოებელთათვის, რომელთაც დიდრონი მეურნეობა აქვთ და ნაწარმოებიც ბლომად, აგრეთვე იმ მეურნეთათვის, რომელნიც ერთად შეერთდებიან, ერთად აწარმოებენ საქმესა და მოისურვებენ უჩარჩოდ უფრო ხეირიანი ბაზარი უშოვონ თავიანთ ნაწარმოებსაო. ამიტომ ვეცდებით ამ მხრითაც დავაკმაყოფილოთ ჩვენი მკითხველებიო. ფრიად სასიამოვნოა, რომ რედაქცია სცდილობს თავის გაზეთის გაუმჯობესობასა და მკითხველებიც ისეთის თანაგრძნობით ეკიდებიან, რომ ურჩევენ, ესა-და-ეს საჭირო ცვლილებანი შემოიღეო.

◆◆

# რუსეთი

ამ მოკლე ხანში სახელმწიფო საბჭომ უნდა განიხილოს პროექტი მკურნალთათვის ნიხრის დაწესებისა. თუ რამდენი უნდა მიეცეს მკურნალს ჯილდოდ ავადმყოფის ნახვისა და წამლის გამოწერისათვის, ეს იმაზე არის დამოკიდებული, რომელს ქალაქში სცხოვრობს ავადმყოფი, რა ხელობისაა და რა ჯამაგირს იღებს. პროექტის აზრით, საცხოვრებელი ადგილი ავადმყოფისა სამნაირად უნდა გაიყოს. პირველ და დაბალ ადგილებად უნდა ჩაითვალოს სოფლები და დაბები, სადაც 10 ათასზე მეტი მცხოვრები არ არის, მეორე გვარ ადგილებად ჩაითვლებიან ქალაქები 100 ათასამდე მცხოვრებლებითა და მესამე გვარ ადგილებად დიდი ქალაქები, რომელშიაც 100ათასზე მეტი მცხოვრებელია. შეძლებითაც ხალხი სამ ნაწილად უნდა გაიყოს. პირველსა და მთავარ ნაწილს შეადგენენ ფულის პატრონები, მემამულეები, პირველ გილდიის ვაჭრები, მექარხნეები და პირველ ექვსის კლასის მოხელეები. მეორე ნაწილს მიეკუთვნებიან: ყველა კერძო დაწესებულების მოსამსახურეები, რომელთაც ჯამაგირი წელიწადში 100 თუმანზე მეტი აქვთ; მეორე გილდიის ვაჭრები, აგენტები სავაჭრო ფირმებისა და მეშვიდე და მერვე კლასის მოხელეები. დანარჩენი მცხოვრებლები მესამე ნაწილს მიეწერებიან. ამ გვარ განაწილების მიხედვით მკურნალებს შემდეგი ჯილდო მიეცემათ ავადმყოფის ნახვისა და წამლის გამოწერისათვის: პირველ ნაწილის ადგილში პირველ შეძლების კაცმა მკურნალს ერთს მისვლაზე უნდა მისცეს 1 მან., მეორისამ 75 კაპ. და მესამისამ 50 კაპ., მეორე ხარისხის ადგილში მცხოვრებმა პირველის შეძლების კაცმა მკურნალს თითო მისვლაზე უნდა აძლიოს 1 მ. 50 კ., მეორისამ—1 მ. და მესამისამ 60 კ., მესამე ხარისხის ადგილებში—პირველის შეძლებისამ—2 მ., მეორისამ — 1 მ. 50 კ., მესამისამ—75 კ. თუ მკურნალს ღამე დაიბარებენ დილის რვა საათამდის, მაშინ ავადმყოფმა ერთ-ნახევრად უნდა მისცეს დაწესებული ფასი.

— მთავრობამ 25,400 მანათი გადასდო, რომ მომავალს წელს საქონლის ჭირს ებრძოლოს ვისლის მხრის გუბერნიებში. ეს ფული მთავრობამ ამავე მხრის საქონლის პატრონების სახელმწიფო ხარჯიდგან უნდა აილოს.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო აპირობს, მომავალს წელს ათასი თუმანი გადასდოს ხარჯად, რომ თუ ტიხვინისა და მარინის წყლის არხებთანა და ზოგს სხვა გუბერნიაში, ცხენებს ხუზარა მოკიდო, მაშინვე შეუდგეს წამლობასა და დროზედ მოსპოს ეს სენი.

— მომავალს წელს იგივე სამინისტრო ხუთას თუმანს გადასდებს იაკუტების წამლობისათვის.

— ნიკოლოზის რკინის გზაზე 3 ოკტომბრიდგან ამა წლის უნდა დაიწყოს სიარული მეოთხე კლასის ვაგონებმა. ამ ვაგონებით მოგზაურებს შედარებით უფრო ნაკლები გადასახადი გამოერთმევათ, ვიდრე მესამე კლასის მოგზაურებს.

— მინისტრთა კომიტეტში სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა წარადგინა თავისი აზრი იმის შესახებ, რომ რამდენიმე ახალი სპეციალური სასწავლებელი დაარსდეს. სხვათა შორის მინისტრი ითხოვს ორის სასწავლებლის დაარსებას ცხვრის მომშენებლების მოსამზადებლად. ერთი ამ სასწავლებელთაგანი იქნება ხარკოვის გუბერნიაში, მეორე ეკატერინოსლავისაში.

◆◆

# წვრილი ამბები

ორასის წლის წინად მასსაჩუზეტის შტატში ერთის გემის კაპიტანი ჩამოურჩვიათ იმ დანაშაულისთვის, რომ კვირა დღით ეკოცნა ცოლისთვის, როცა დიდის ხნის მოგზაურობას შემდეგ დაბრუნებულიყო თავის ოჯახში და გახარებული იყო თურმე ცოლ-შვილის ნახვით.

— ერთს ვიღაც მოცლილს კაცს გამოუანგარიშნია, რაც საფრანგეთში ყოველ წლივ თამბაქო იხარჯება, რომ იმისგან ნეკის სიმსხო თოკი დაიწნას, დედამიწის ზურგს 30 ჯერ შემოუწვდებაო. იმავე თამბაქოსი რომ აგური გამოეთლათ, ერთი იმოდენა პირამიდა აშენდება, როგორიც ეგვიპტეშიაო. თუ ეს თამბაქო დაინაყა, ორის ქალაქის დაფვლას ეყოფა, როგორც ვულკან ვეზუვის ნაცარტუტამ ორი ქალაქი გადასილა: პომპეია და ჰერკულანუმიო.

— ბერლინში გარყვნილობა თუმცა ძლიერ გავრცელებულია, მაგრამ რაც შეუძლიათ ცდილობენ, რომ ყველაფერი დაფარული იყოს და ხალხსა და მეტადრე დედ-კაცობას თვალში არ ეჩხირებოდეს და კეთილშობილურს გრძნობას არ უბღალავდეს. ამას წინად ერთს ცუდის ყოფა ქცევის ქალს ორის კვირით დაპატიმრება გადაუწყვიტა სასამართლომ მხოლოდ იმიტომ, რომ მდიდრულად ჩაცმულ-დახურული მშვენიერის ეტლით ტირგარტენში გასეირნა თურმე.

— ბრიუსელის მახლობლად ერთი რაღაცნაირი სენი გავრცელებულა, რომელიც მკურნალებს ჯერ-ჯერობით ვერ გამოუკვლევიათ. სენი უფრო ჭაობის ციებასა ჰგავს. ვისაც-კი შეხვდება, სულ რამდენსამე საათს შემდეგ უსწრაფეს სიცოცხლეს. მომეტებულად უფრო ღორები ხდებიან ავად და შემთხვევაც არა ყოფილა, რომ იმათგანი ვინმე გადარჩენოდეს ამ სენს.

— ვენაში ქალებმა კრება-გამართეს და გადასწყვიტეს, ვითხოვოთ, რომ ჩვენც ხმა გვქონდეს საქალაქო არჩევანებზეო. შესაფერი თხოვნა უკვე გაგზავნეს, სადაც ჯერ არს.

— ინგლისელმა პოეტმა ლორდ ტენისონმა ამას წინად ერთი თავისი პოემა დაბეჭდა სახელად „ცოდვის მხილება“. ამ პოემის შესახებ ერთმა ახირებულ-

---

ს) მეფე მაღალი, კეთილ სვიანი,
მსჯავრი მოყვარე, სამართლიანი,
ცნობა კეთილი, მეტად ჭკვიანი, სიბრძნე
უფსკრული, ყოვლად გზიანი,—
დალიჭთ მჯდომელი, განგებიანი, გვირ-
გვინოსანი, შუქნათლიანი,
და ხმელთა მპყრობელი, საქმე გვიანი,
კიდის კიდემდე სახელიანი!

აა—აა აა—აა | აა—აა | აა—აა

ერთი მიბრძანეთ, სად გახლავთ ამ ორ მოყვანილს რგოლში ის წყობილება, რომელზედაც გვითითებს მიტროპოლიტი. თქვენ ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენ ამაზე მეტი მაგალითი ვერ გიჩვენოთ იმის დასამტკიცებლად, რომ რეული ყოველ წყობილებით დაიწერება, ოღონდ კი რვა ტაეპიანი იყოს ლექსი, ანუ ოთხ ტაეპიანი და ამასთან ყოველს ტაეპს შუაში უთუოდ ცეზურა ჰქონდეს; ამ რიგად წყობადი მაინც რვა ტაეპოვანი გამოდის.

Четвертый родъ называется Загнакорули и состоитъ изъ трехъ стиховъ, изъ коихъ первые два однаго метра и одну имѣютъ риѳму, а третій безъ риѳмы и особеннаго метра по слѣд. образцу:

1 и 2. აა—აა აა—აა
აა—აა—ა—ა—აა

ჩახრუხაულს, ჩახრუხაულ—შერეულს, ჩახრუხაულს — ძაგნაკორულს, ჩახრუხაულს—ფისტიკაურს თითქმის ერთი და იგივე წყობილება აქვთ. ამიტომ ესენი ყოველთვის ერთად უნდა გაირჩეს.

ჩახრუხაული:

აა(—აა) | აა—აა | აა—აა | აა — აა
აა(—აა) | აა—აა | აა—აა | აა — აა

ამის სახენი მეფეთ გახენი ვით სა-
მოსელი შესამკობელად;
აგრე იგავნი, არ თუ იგავნი, სჯე ბედთა
ბეჭდვის თვალთა მცნობელად
etc. etc..

ჩახრუხაული — შერეული:

(აა—აა) | (აა—აა) | აა—აა | აა—აა
(აა—აა) | (აა—აა) | აა—აა | აა—აა

მოკვლი სენად, მოკვლის ენად, თუ-
ცა შევიქმნა სისხლთა მჯდომელად,
ვით არაკისო, ვით არაკისო, მოყვარე
დავსთმე გასაწყრომელად.
საფერი მე-ცა, საფერი მეცა თავს ქვა თა-
ვი—ქვას, დია მაგარო!
რადგან იასე, რად განიასე, თვითვე
შეიქენ ჭირთა მსობელად,
სადარის სულო, სად არის სულო,
ცოდვის სანანდად თუცა მაგარო?
და რამან მანანა, რა მან მანანა, არ
შეიძლება ვიყო მდომლად **)!

ჩახრუხაული—ძაგნაკორული:

აა—აა | აა—აა | აა—აა | აა—აა
აა—აა | აა—აა | აა—აა | აა—აა

მეოთხე ტაეპი ყოველს წყობადში ერთი და იგივეა.

კაცს ვისმე ბრჭობას, მსჯავრისა ბრჭობას აძლევდენ, იყო ცრემლისა მღვრელად.
სხვამ უთხრა: სტირ რად, რადმცა ხარ მჩივრად? მოღხენა გმართებს,—ეს თქმუ-
ლა მკვლელად.
მან თქვა: ვაჲმე, მქვს-და რაჲმე? სი-
მართლის ქმნანი მიჩნს საზღვევლად,
და ზარი დამეცა, ზარი დამეცა, წე გო-
ნებისა გასაკრთომელად!

იმ წყობილების ჩახრუხაული—ძაგნაკორული მე არ შემხვედრია, როგორც ნაჩვენები აქვს მიტროპოლიტს. საუბედუროდ, მაგალითები არა აქვს მოყვანილი, თორემ შევეძლო გავერჩია.

ჩახრუხაული—ფისტიკაური:

აა—აა | აა—აა | აა—აა | აა—აა
აა—აა | აა—აა | აა—აა | აა—აა
აა—აა | აა—აა | აა—აა | აა—აა

რა არის სული, სულისა დარსა მოყვა-
სს არ უძღვნას დიდად ქებულსა,
ან გულ-გულის მამტაცებელსა, მოყვა-
რე მისსა იმედებულსა?!

Церковный стихъ называется „Ямбикъ“ (89 стр.), въ семъ послѣднемъ родѣ каждая строѳа состоитъ изъ пяти стиховъ, имѣющихъ иногда одинаковую риѳму, а иногда безъ риѳмы. Метръ его слѣдующій

აა—აა—ა—აა—აა

для образца вотъ одна строка изъ поэмы „цкобил-ситкваоба“...

Агмосавалса саитеноса самотхе
Гвавилъ мравални беври ара самотхе
Ара эртъ кутхедъ уфросгамебръ самотхе.
Сулъ магрилобель рто пурцлованъ самотхе.

ამ აღნიშვნაში, ვგონებ, კორრექტურული შეცდომა უნდა იყოს, რადგანაც მოყვანილ ლექსის მეტრი ასე უნდა იკითხებოდეს:

აა — აა | ა—აა | —აა

და არა ისე,

აა——აა | ა—აა | — აა

როგორც მოყვანილი აქვს მიტროპოლიტს.

აქ ისიც უნდა დავსძინოთ, რომ საერო ლექსებიც გვინახავს ჲამბიკოთი დაწერილი. როგორც აგრეთვე ჲამბიკოთი წოდებულნი ლექსნი შეგვხვედრია სხვა-და სხვა წყობილებითაც და წერილნი. აი ერთს სულხან ორბელიანის ჲამბიკოს ქილილა და დამანაში რა წყობილება აქვს:

თუცა დრუნჩლსა ცვარი ენამა,
აღარ გახსდის სიცხემ ზენამა,
და „ჭვერი შეწვა!“ ვერ თქვას ენამა.

აა—აა | აა—აა

აქ მოიგონეთ ის ჲამბიკოც, რომელსაც მიაწერენ ჩვენს შოთა რუსთაველსა და მაშინ დამეთანხმებით, რომ ჲამბიკოს წყობილებას სხვა მხრით უნდა დაუკვირდეს კაცი, შეადგენს იგი ცალკე წყობილებას, თუ არა; მით უმეტეს, რომ ჲამბი ჩვენს ენას არ შეჰფერის და მაშასადამე „ჲამბიკო“ თვით წყობილებას არ უნდა შეეხებოდეს.

დანარჩენი შემდეგისათვის.

გ. დოლაშვილი

ქ. მოსკოვი.

---

***) მეოთხე წყობილება, რომლითაც დაწერილია თამარიანის რამდენიმე წყობადი.

მა კაცმა შემდეგი წერილი მისწერა ავტორს: «თქვენს პოემაში ამბობთ, რომ ყოველს თვალის დახამხამებაში ვინმე იბადება და ვინმე კვდებაო, ეს ტყუილია. ეგრე რომ იყოს, მაშინ დედამიწაზე ყოველთვის თანაბრად იქნებოდა ხალხი, არც მოაკლდებოდა და არც მოემატებოდა. იმედი მაქვს, რომ შემდეგს გამოცემაში ასე გაასწორებთ: ყოველს თვალის დახამხამებაში კვდება ვინმე და იბადება $1\frac{1}{10}$ კაცი. უფრო უკეთესი და სწორე იქნებოდა, რომ გეთქვათ, 1,167 კაცი იბადებაო, მაგრამ ლექსი ვეღარ მოეწყობა და ამიტომ დიდი შეცდომა არ იქნება, რომ მხოლოდ $1\frac{1}{10}$ ითქვაო.

◆

## დეპეშა

3 ოქტომბერი

პეტერბურგი. გუშინ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი უავგუსტოესის სახლობითურთ გატჩინოში მოვიდნენ.

ბერნი. დღეს მოაწერეს რკინის გზის კონვენციაზედ ხელი. რუსეთის მაგიერ მოაწერა ბ-ნმა გამბურგერმა. სამის თვის შემდეგ კონვენცია ძალაში შევა. ამ ვადის გასვლისას ამორჩეული იქნება უმთავრესი უწყება სარკინის-გზო სავაჭრო მოძრაობისა.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ოქტომ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გარიგებულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6 46 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | $129\frac{1}{2}$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | 1 14 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 228 | — „ | — „ |
| —მეორისა | $212\frac{1}{4}$ | — „ | — „ |
| —მესამისა | $213\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

### სასწავლებელი ქალბატონის კუესტისა

გრუზენშტერნის ქუჩა № 9

ამზადებს ბავშვებს (ქალებს და ვაჟებს) ყველა სასწავლებელში მისაღებად. სხვათა შორის განსაკუთრებით ასწავლის ფრანგულსა და გერმანულს ენას. (15—12)

---

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

### ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

---

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

### ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ზაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა | „ | 40 |
| იავნანამრა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა | „ | 80 |
| გრამატიკა ქორდანიასი | „ | 55 |

---

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

### „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

---

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმიოდ:

### ვერმორელის აპარატები

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმიოდ“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.

(50—42)

---

### კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთა გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია **1373 წ.** პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.

ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და საამფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.

(208—48)

---

### საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებ სათვის

წელიწადი მეცხრე.

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1890—91 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება საწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ; ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ათთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუკიანცს, ტფილისს.

(12—12)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

### დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

Доз. цен. Тифлисъ, 3-го Октября 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე